საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზაალ მარუაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობები	0	5
ქულათა ჯამი	84	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ზაალ მარუაშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები ზაალ მარუაშვილს ახასიათებენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ, კორექტულ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოსამართლესა და პიროვნებას. კანდიდატმა საჯარო გასაუბრებაზე განაცხადა, რომ ,,თავს შინაგანად მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეთა მოსამართლედ მიიჩნევს" და სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განწესების შემთხვევაში უარს იტყვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე, რაც კანდიდატის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს.

ზაალ მარუაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (ფიქსირდება დახურული ვადაგადაცილება), ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით, კანდიდატს ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ზაალ მარუაშვილს ახასიათებენ როგორც პრინციპულ, სამართლიან და დამოუკიდებელ მოსამართლეს. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ იგი გამორიცხავს კანდიდატზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ზაალ მარუაშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ზაალ მარუაშვილი არის კორექტული, კომუნიკაბელური, თავდაჭერილი პიროვნება, რომელსაც შესწევს ემოციების მართვის უნარი. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და თავაზიანობით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ზაალ მარუაშვილის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ზაალ მარუაშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად, რომელიც პატივისცემით სარგებლობს როგორც კოლეგებს შორის, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (ფიქსირდება დახურული ვადაგადაცილება), სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.

ზაალ მარუაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ზაალ მარუაშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კერძოდ, კანდიდატმა ისაუბრა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპზე, სამართლის წყაროებსა და სამართალში ანალოგიის გამოყენების საკითხზე. კანდიდატმა ვრცლად ისაუბრა ქართული სამართლის ისტორიის წყაროებსა და სასამართლო ინსტიტუტებზე.

ზაალ მარუაშვილმა გაიხსენა მის მიერ განხილული საქმე, რომელიც ეხებოდა სასაქონლო ნიშნის საყოველთაო ცნობადობას. კანდიდატმა განმარტა, რომ წინამდებარე საქმეში გადაწყვეტილების დასასაბუთებლად გამოიყენა სხვა ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებიც. ამავდროულად, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზებიც, პასუხები არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან, ანტიდემპინგურ კანონმდებლობასა თუ პრაქტიკასთან დაკავშირებით, არ იყო დამაკმაყოფილებელი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ზაალ მარუაშვილს აქვს როგორც კანონმდებლობის, ასევე სასამართლო პრაქტიკის ცოდნის შესაბამისი დონე.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. რეკომენდატორების თანახმად, კანდიდატს შესწევს ფაქტების სწორად შეფასებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. ამასთან, საყურადღებოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, ზაალ მარუაშვილის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 76.4%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა იმსჯელა სამართლის სხვადასხვა დარგიდან მნიშვნელოვან საკითხებზე. კანდიდატმა გაიხსენა მისი პრაქტიკიდან შემთხვევა, როდესაც დირექტორის მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევით

საწარმოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად სკ-ის 992-ე მუხლის ფართო ინტერპრეტაციისათვის გამოიყენა გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ცალკეულ კითხვებს უპასუხა, რიგ შემთხვევაში მსჯელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგალითისთვის, სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელებთან დაკავშირებით, მოთხოვნის საფუძვლებს შორის კონკურენციასთან მიმართებით, ამავდროულად, კანდიდატის მსჯელობა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისას ნაყოფის მამის უფლებებზე ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას).

წერის უნარი: ზაალ მარუაშვილმა წარმოადგინა ერთი სასამართლო გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ზაალ მარუაშვილი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ზაალ მარუაშვილი წერილობით აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და ლოგიკურად.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კომუნიკაციისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი მეტყველებს გამართულად, საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ზაალ მარუაშვილი გამოირჩევა აზრის გამართულად, დაუბრკოლებლად ფორმირებისა და განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარით.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ზაალ მარუაშვილს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ პიროვნებას. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი სამოსამართლო საქმიანობის პროცესს წარმართავს ღირსეულად, საქმისადმი ერთგულებითა და პასუხისმგებლობით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ზაალ მარუაშვილს საანგარიშო პერიოდში (994 დღე) დასრულებული აქვს 297 საქმე, დღეში საშუალოდ 0.3 საქმემდე. ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 80.1%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების

მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც მიუთითებს კანდიდატის პუნქტუალურობასა და დროის სწორად განაწილების უნარზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 3 ღონისძიებაში, კერძოდ საკორპორაციო/სამეწარმეო სამართლის, სამოსამართლო ეთიკის საბაზისო კურსისა და სასამართლო სხდომების მართვა და კომუნიკაციის ტრენინგებში.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ან სხვა სახის პროფესიულ აქტივობას.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ზაალ მარუაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 84 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 18 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 2 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 23.05.2021